ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2252093

ნომერი: AR1347810

თარიღი : 08.10.2015

გაცემის თარიღი : 23.10.2015

გაცნობის თარიღი : 23.10.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01024025991
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 30 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო არეალი მდებარეობს საკადასტრო საზღვრის გარეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელება ხდება გზის სავალ ნაწილზე, რაც შეაფერხებს სატრანსპორტო და საფეხმავლო მოძრაობას, არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ტერიტორიაზე დეკორატიული გაფორმების კონსტრუქციების განთავსება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.